პროლეტარიანო ყველა ქვეყნისა, შეერიდეთ!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი | № 284 (13976) | ხუთშაბათი, 7 დეკემბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

ხუთწლედი — ვადამდე!

შევასწავლოთ კადრებს ხელმძღვანელობა

ჩვენი პარტია წყვეტს კომუნისტური მშენებლობის დიდ და რთულ ამოცანებს, რომლებიც სკკპ XXIII ყრილობამ დასახა. ქვეყნის საწარმოო ძალების შემდგომი ზრდა, დიდმნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების გადაჭრა სულ უფრო პასუხსაგებსა და რთულს ხდიან პარტიულ ხელმძღვანელობას. ახალი ამოცანების შესრულება მოითხოვს პარტიული ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების სრულყოფას, ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებას. ეს კი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია პარტიულ კადრებზე, მათს იდეურ-პოლიტიკურ მომზადებასა და გამოცდილებაზე.

ბევრი თვისება უნდა ჰქონდეს პარტიულ მუშაკს. მაგრამ უწინარეს ყოვლისა მას ახასიათებს მაღალი იდეურობა და პრინციპულობა, ფართო მარქსისტულ-ლენინური ჰორიზონტი და პოლიტიკური სიმწიფე, საქმის ცოდნა და ორგანიზატორული უნარი. მასების ნამდვილი ხელმძღვანელი რომ იყო, ღრმად უნდა შეისწავლო მარქსისტულ-ლენინური თეორია, გამომუშაო ლენინის ტიპის პოლიტიკური მოღვაწის თვისებები. პარტიული კადრებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიული მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის შემოქმედებითს შესწავლას. რევოლუციური თეორიის, პარტიული მშენებლობის საფუძვლების დაუფლება ემსახურება სწორედ იმას, რომ მუშაკს შეეძლოს თავისუფლად გაერკვეს ცხოვრებისა ამბებსა და მოვლენებში, იხელმძღვანელოს კონკრეტული ვითარებით და შეეძლოს სწორი გადაწყვეტილების გამონახვა.

ჩვენი პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი მუდამ ზრუნავენ პარტიული და საბჭოთა მუშაკების ზრდისა და აღზრდისათვის. მაღალი კვალიფიკაციის კადრებს ამზადებენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია და უმაღლესი პარტიული სკოლა, აგრეთვე რესპუბლიკური და სოლოქთაშორისი უმაღლესი პარტიული სკოლები. ბევრი მუშაკი სწავლობს აგრეთვე საბჭოთა-პარტიულ სკოლებში.

სკკპ XXIII ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა სერიოზულად გავაუმჯობესოთ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო კადრების მომზადება და გადამზადება და რეკომენდაცია მოგვცა გავაძლოთ კვალიფიკაციისა და იდეურ-თეორიული დონის ამაღლების მუდმივმოქმედი კურსების ფართო ქსელი. ხელმძღვანელობდა რა ამით, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1966 წლის დამლევს მიიღო დადგენილება ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების გადამზადების მუდმივმოქმედი კურსების ორგანიზაციის შესახებ. ასეთი კურსები ერთთვიანი სწავლების ვადით შეიქმნა უმაღლეს პარტიულ სკოლასთან და ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ მხხვილ ცენტრებში. კურსებზე მეცადინეობენ პარტიის საოლქო, სამხარეო კომიტეტების და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების მდივნები, განყოფილებათა გამგეები, საქალაქო და რაიონული პარტიული კომიტეტების მდივნები, საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქტორები.

ამას წინათ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში მოეწყოს კურსები პირველადი პარტიული ორგანიზაციების განთავისუფლებული მდივნებისათვის, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების განყოფილებათა გამგეების, ინსტრუქტორების, საქალაქო და რაიონული აღმასკომების თავმჯდომარეთა, მოადგილეების, მდივნების, სასოფლო და სადაბო საბჭოების თავმჯდომარეების, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქტორთა მოადგილეების, მრავალტირაჟიანი გაზეთების რედაქტორებისათვის. ამ კურსებზე ყოველწლიურად 50 ათასზე მეტი კაცი აიმაღლებს ცოდნას.

ახლა ამოცანა ის არის, რომ კარგად მოვემზადოთ და ორგანიზებულად დავიწყოთ ახალი კურსების მუშაობა. მათი საქმიანობა მუდამ პარტიული კომიტეტების უურადღების ცენტრში უნდა იყოს. საჭიროა დროულად ძოვამზადოთ სასწავლო-მეთოდური ბაზა, შევარჩიოთ კვალიფიციური ლექტორები, მომხსენებლები და სემინართა ხელმძღვანელები, მოვიფიქროთ სასწავლო გეგმა. კურსებზე მეცადინეობაში უნდა ჩავაბათ პარტიული სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლები, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

რა თქმა უნდა, პარტიული კადრების სწავლება კურსებით როდი შემოიფარგლება. ყველა მუშაკის მოვალეობაა ყოველდღიურად შეიგოს ცოდნა, გაიფართოოს ჰორიზონტი, მიჰყვეს, როგორც ამბობენ, საუკუნეს ფეხდაფეხ, იყოს დროის მაღალ მთხოვნათა დონეზე, ბევრმა პარტიულმა კომიტეტმა შეადგინა კადრების სწავლების დეტალური გეგმები, ცდილობს უფრო მჭიდროდ დაუკავშიროს სწავლა ცხოვრებას, ხუთწლედის შესრულებისათვის საბრძოლველად მასების დარაზმვის პრაქტიკულ ამოცანებს.

პარტიული კადრების იდეურ-თეორიული დონისა და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებაში დიდი ადგილი უჭირავს მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტებს, საქალაქო და რაიონულ პარტიულ სკოლებს, რომლებიც შეიქმნა პარტიის საქალაქო, რაიონულ კომიტეტებთან. კარგი სახელი მოიხვეჭეს პარტიული მუშაკების მუდმივმოქმედმა სემინარებმა. ამ ბოლო დროს ვრცელდება პარტიული მშენებლობის პრობლემებისადმი მიძღვნილი თეორიული კონფერენციები. კონფერენციებზე ჩვეულებრივ მიმდინარეობს შინაარსიანი საკამათო პარტიული ხელმძღვანელობის მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების შესახებ, პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში ოვითეული კომუნისტის ადგილის შესახებ.

აქტივს დიდი დახმარება შეუძლია გაუწიოს ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის კაბინეტებმა და მეთოდურმა საბჭოებმა, რომლებიც შექმნილია პარტიულ კომიტეტებთან და მუშაობენ საზოგადოებრივ საწყისებზე. მაგალითად, ჩელიაბინსკის ოლქში კაბინეტები თითქმის ყველა ქალაქსა და რაიონში მოქმედებენ.

მაგრამ ჯერ კიდევ ყველგან როდია სათანადოდ მოწესრიგებული კადრების, განსაკუთრებით ძირეული რგოლის — კომიტეტების ინსტრუქტორების, პარტორგანიზაციების მდივნებისა და პარტჯგუფორგების სწავლება. მთელ რიგ ადგილებში იგი ეწყობა უსისტემოდ, აკლია მიზანსწრაფვა. ვერ შეეფერებიან ცხოვრებას ზოგიერთ ადგილებში ეგზ ეფუფრ ეფ ეფ ეფ

საბჭოთა კანონიერების საფარაჯოზე

დიდია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციამ დაამხვრია, ძოსპო ძველი სახელმწიფო აპარატი. მაგრამ გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებები ვერ მოიცავდა ქვეყნის სახელმწიფო საქმიანობის ყველა მხარეს. ამიტომ თვითმაყრობელური წყობილების დამკვიდრების შემდეგ ადგილებზე სტიქიურად შეიქმნა თავისთავადი სასამართლოები. საჭირო იყო გაესამართლებინათ კონტრრევოლუციური ელემენტები. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში მაშინ არ არსებობდა ისეთი ორგანო, რომელიც მათ გაასამართლებდა.

დეკრეტში მიწის შესახებ ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ჩამორთმეული ქონებისათვის რაიმე ზიანის მიყენება მძიმე დანაშაულია, რომელიც ისჯება რევოლუციური სასამართლის მიერ, ხოლო 1917 წლის 5 ნოემბრის მიმართვაში „მოსახლეობისადმი“ ვ. ი. ლენინი მშრომელებს მოუწოდებდა: „დაამტკიცონ და ხალხის რევოლუციურ სამართალში მიეცით ყველა, ვინც გაბედავს სახალხო საქმისათვის ვნების მიყენებას“.

ეს სასამართლოები რევოლუციის გამარჯვების პირველივე დღეებში შეიქმნა პეტროგრადში, მოსკოვში, ნოვგოროდში, სმოლენსკში და რუსეთის ბევრ სხვა ქალაქსა და რაიონში. ზოგჯერ ეს იყო კომპეტენციით და შემქმნის წესით, ზნირად კი სახელწოდებითაც სხვადასხვაგვარი სასამართლოები, მაგრამ ხალხი ერთო მათთვის ის იყო, რომ ეს იყო ბეშმარიტად სახალხო, ხალხის მახვის ნდობითა და მხარდაჭერით მოსილი სასამართლოები. ისინი მთელი თავიანთი საქმიანობით ებრძოდნენ მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს კლასობრივ მტრებს.

რა თქმა უნდა, ამ სასამართლოებს ახასიათებდა ზოგიერთი ნაკლი, კერძოდ, საქმის განხილვის პროცესუალური პირობების მხრივ, მაგრამ საბოთალს რომ ეძებდა, ხალხი მიმართავდა სწორედ ამ სასამართლოებს, თუმცა პარალელურად ფორმალურად ჯერ კიდევ განაგრძობდნენ მოქმედებას ძველი მომრიგებელი სასამართლოები. ვ. ი. ლენინი წერდა, რომ „1917 წლის 25 ოქტომბრის შემდეგ რევოლუციური მახები სწორ გზას დაადგნენ და რევოლუციის ცხელმოუფფეფილმა დაამტკიცეს, როდესაც იწყეს თავიანთი, მუშათა და გლეხთა სასამართლოების მოწყობა, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული სასამართლოს აპარატის დაშლის შესახებ ჯერ კიდევ ყოველგვარი დეკრეტების გამოშვებამდე“.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი აქტი, რომელიც სასამართლო სისტემას შეეხებოდა, იყო № 1 დეკრეტი სასამართლოს შესახებ. იგი შემუშავებულ იქნა ვ. ი. ლენინის პირადი მონაწილეობით და 1917 წლის 24 ნოემბრის გამოქვეყნდა დროებითი მუშურ-გლეხური მთავრობის გაზეთში.

საბჭოების სრულიად რუსეთის მესამე ყრილობაზე გამოსვლისას ვ. ი. ლენინმა თქვა: „დაე იყვიროს, რომ ჩვენ ძველი სასამართლო რეფორმის მოუდენლად ერთბაშად გადავეცით დასამსხვრევად. ამით ჩვენ გზა გავუკაფეთ ნამდვილ სახალხო სასამართლოს და იმდენად არა რეპრესიების ძალით, რამდენადაც მახვის მაგალითით, მშრომელთა ავტორიტეტით, ფორმალობის გარეშე, სასამართლოდან, როგორც ექსპლოატაციის იარაღიდან შევქმენით აღზრდის იარაღი სოციალისტური საზოგადოების მტკიცე საფუძველზე“.

ძველი მომრიგებელი სასამართლოები შეცვალეს ადგილობრივმა სასამართლოებმა, რომლებშიც შედიოდა მუდმივი მოსამართლე და ორი მსაჯული. ახალი სასამართლოები საქმეებს წყვეტდნენ რუსეთის რესპუბლიკის სახელით და თავიანთ გადაწყვეტილებებში ხელმძღვანელობდნენ დამბობილი მთავრობის კანონებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ისინი არ ეწინააღმდეგებოდნენ სოციალისტურ მართლშეგნებას.

დეკრეტი თვალისწინებდა მუშათა და გლეხთა ტრიბუნალების შემოღებას თავმჯდომარისა და ექვსი მორიგი მსაჯულის შემადგენლობით. ისინი გეჯირდებოდნენ კონტრრევოლუციის, მარადიორობის, დატაცების, საბოტაჟისა და სხვა ბოროტმქმედებათა წინააღმდეგ საბრძოლველად.

პირველი დეკრეტი სასამართლოს შესახებ თვალისწინებდა ახალი სასამართლო სისტემის შემოღებას პირდაპირი დემოკრატიული არჩევნების საფუძველზე.

ასეთი წესით იქმნებოდა სასამართლოები ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. მაგალითად, საქართველოში რევოლუციურმა კომიტეტმა უკვე 1921 წლის 25 თებერვალს დაადგინა თბილისში და მთელ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში შექმნილიყო საგანგებო საგამოძიებო კომისია კონტრრევოლუციის, სპეკულაციის, საბოტაჟისა და თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ საბრძოლველად.

1921 წლის 22 მარტის № 6 დეკრეტით გაუქმდა სენატი და ყველა სხვა სასამართლო დაწესებულება ამასთან, დეკრეტში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ რევოლუციურმა კომიტეტმა ეს გადაწყვეტილება მიიღო მას შემდეგ, რაც დაიწყო რესპუბლიკის მთელი სასამართლო სისტემის მოწესრიგება საბჭოთა პრინციპების საფუძველზე, რადგანაც დამბობილ მთავრობასთან ერთად არსებული სასამართლო დაწესებულებანი, რომელთა საქმიანობას საფუძვლად ედო კლასობრივი პრინციპები, არ შეესაბამებოდნენ მშრომელთა ფართო მასების ინტერესებს და ვერ უზრუნველყოფდნენ მართლმსაჯულების განხორციელებას.

ზემოაღნიშნული დეკრეტების გამოცემის შემდეგ გრძელდებოდა საბჭოთა სასამართლო სისტემის, ისევე როგორც მთელი საბჭოთა სახელმწიფო აპარატის სრულყოფა. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ამ გარემოებამ გამოიხატულება პოვა მომდევნო დეკრეტებში, სოციალისტური რესპუბლიკების პირველ კონსტიტუციებსა და დებულებებში სასამართლოს შესახებ, მარტო უკვე მაშინ აღნიშნავდა ხაზგასმით, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მართლმსაჯულების შესრულების შესახებ სოციალისტური კანონიერების დაცვას. ამას აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი ცნობილ წერილში „ორმაგ“ დაჯეკემდებარებისა და კანონიერებაზე“ შესახებ. იგი მოითხოვდა, რომ კანონიერების ცნება აბსოლუტურად ერთნაირი ყოფილიყო მთელ რესპუბლიკაში. უფრო მეტიც, ვ. ი. ლენინს საჭიროდ მიაჩნია არა მარტო ერთიანი სრულიად რუსეთის კანონიერების დაწესება, არამედ საბჭოთა რესპუბლიკების მთელი ფედერაციისათვის ერთიანი კანონიერების შემოღებაც.

ცოტა ხნის შემდეგ მოკავშირე რესპუბლიკებში მიღებულ იქნა ახალი კოდექსები სამართლის სხვადასხვა დარგში, ამის შემდეგ კი საერთო საკავშირო აქტები.

ასე ვითარდებოდა ჩვენი სასამართლო სისტემა. ამასთან სასამართლოს ამოცანები ყოველთვის განისაზღვრებოდა საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ამოცანებით, რომელთა შესრულებით სასამართლოს მუშაკებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების საქმეში.

დიდმნიშვნელოვანი ამოცანებია დასახული საბჭოთა სასამართლოს წინაშე ამჟამადაც, როცა, შექმნა რა საერთო სახალხო სახელმწიფო, მთელი საბჭოთა ხალხი გაწელილი ფრონტით აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას ჩვენს ქვეყანაში. ეს ამოცანებია განსაზღვრული, კერძოდ, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 23 იელისის დადგენილებაში „დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“.

საერთო საკავშირო კანონმდებლობის და ამის შესაბამის მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობათა ბაზაზე, რომლებიც მიღებულია 1958 წელს და შემდგომ წლებში, საბჭოთა სასამართლო სისტემამ თავის აპოგეას მიაღწია. ყველა ამ დოკუმენტში გამოიხატა და კიდევ უფრო განვითარდა ვ. ი. ლენინის ცნობილ წერილში „ორმაგ“ დაჯეკემდებარებისა და კანონიერებაზე“ შესახებ. იგი მოითხოვდა, რომ კანონიერების ცნება აბსოლუტურად ერთნაირი ყოფილიყო მთელ რესპუბლიკაში. უფრო მეტიც, ვ. ი. ლენინს საჭიროდ მიაჩნია არა მარტო ერთიანი სრულიად რუსეთის კანონიერების დაწესება, არამედ საბჭოთა რესპუბლიკების მთელი ფედერაციისათვის ერთიანი კანონიერების შემოღება.

ზემოაღნიშნული დეკრეტების გამოცემის შემდეგ გრძელდებოდა საბჭოთა სასამართლო სისტემის, ისევე როგორც მთელი საბჭოთა სახელმწიფო აპარატის სრულყოფა. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ამ გარემოებამ გამოხატულება პოვა მომდევნო დეკრეტებში, სოციალისტური რესპუბლიკების პირველ კონსტიტუციებსა და დებულებებში სასამართლოს შესახებ, მარტო უკვე მაშინ აღნიშნავდა ხაზგასმით, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მართლმსაჯულების შესრულების შესახებ სოციალისტური კანონიერების დაცვას. ამას აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი ცნობილ წერილში „ორმაგ“ დაჯეკემდებარებისა და კანონიერებაზე“ შესახებ. იგი მოითხოვდა, რომ კანონიერების ცნება აბსოლუტურად ერთნაირი ყოფილიყო მთელ რესპუბლიკაში. უფრო მეტიც, ვ. ი. ლენინს საჭიროდ მიაჩნია არა მარტო ერთიანი სრულიად რუსეთის კანონიერების დაწესება, არამედ საბჭოთა რესპუბლიკების მთელი ფედერაციისათვის ერთიანი კანონიერების შემოღებაც.

ზოგიერთ ნაკლოვანებათა მიუხედავად, ეს ნაბიჯები, ეროვნული და რასობრივი კუთვნილებისა, და სარწმუნოებისა. ეს ნიშნავს ყველა მოქალაქის თანასწორობას კანონის წინაშე, ყოველგვარი პრივილეგიერებული სასამართლოების არარსებობას.

საბჭოთა სასამართლო სისტემა თავის ორმოცდაათ წლისთავს აღნიშნავს განსაკუთრებით გაშლილი დემოკრატიული ფორმით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა თვალისწინებს, რომ მართლმსაჯულების დემოკრატიული საფუძვლები კიდევ უფრო გაღვითარდება და დაიხვეწება.

კაპიტალისტურ ქვეყნებში დამნაშავეობის მიზეზების თაობაზე კ. მარქსი წერდა: „ალბათ გული აქვს გამომპალი ისეთ სოციალურ სისტემას რომელიც ზრდის დავის სიმდიდრეს, მაგრამ ამასთან არ ამცირებს სიღატაკეს, და რომელშიც დამნაშავეობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მოსახლეობის რიცხვი“.

ყოველივე ეს თვალსაჩინოდ დასტურდება კაპიტალისტურ სამყაროში ახლაც, სამყაროში, სადაც დამნაშავეობა მარტო უკანასკნელ ათწლეულში 10 პროცენტით გაიზარდა. ამ დროს კი საბჭოთა კავშირში როგორც დამნაშავეობა, ისე ნასამართლობა სისტემატურად მცირდება.

მაგალითად, 1965 წელს 1964 წელთან შედარებით ნასამართლობა ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვნად შემცირდა. ამ საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანა ჩვენმა სასამართლო სისტემამაც.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა სასამართლოს მუშაკთა კადრები, რომელთა შორის მრავალი წლის ნაოფიერი მუშაობისათვის ბევრია დაჯილდოებული ორდენებით, ზოგიერთს კი მიენიჭა დამსახურებული იურისტის სპეციალური ტიტული. თუ რევოლუციის დღეებში ჯერ კიდევ სასამართლოს შესახებ დეკრეტების გამოცემამდე ხალხი მოითხოვდა, რომ სასამართლოები ყოფილიყო ავტორიტეტული სასამართლოები, რომლებსაც ექნებოდათ ნდობა მოსახლეობაში, ყოფილიყო სინდისის სასამართლოები, არსებული კანონების ფარგლებით შეუზღუდავი, ყველა მოქალაქისათვის თანასწორი სასამართლოები, ახლა საბჭოთა სახელმწიფოს ორმოცდაათი წლისთავის დღეებში არსებითად გაიზარდა მოთხოვნები, რომლებსაც ვუყენებთ სასამართლო ორგანოების მუშაობას, კერძოდ, სამართალწარმოების კულტურის დარგში.

ყოველივე ეს სასამართლოს მუშაკებს ავალებს დირსეულად შეასრულონ მათ წინაშე დასახული ამოცანები, აღმოფხვრან ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი და ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ სკკპ პროგრამაში. აღნიშნული ამოცანების განხორციელების საქმეში.

ვ. მაისურაძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე.

სამუშაო—ყველას

გვესაუბრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე

მ. გ. ჩიქოვანი

რესპუბლიკის მთავრობის სპეციალური დადგენილებით ამას წინათ შეიქმნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის სამეცნიერო-ეკონომიური საბჭო. საბჭოში შევიდნენ თვალსაჩინო მეცნიერები და სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჯანშუტია სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის, საქართველოს სსრ სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტის, საქართველოს ალაკ ცენტრალური კომიტეტის სპეციალისტები და მუშაკები. ასეთი ფართო წარმომადგენლობა საბჭოში განპირობებულია იმ პრობლემათა ფართო დიაპაზონით, რომლებიც კომიტეტმა უნდა გადაჭრას პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ამოცანათა გადაწყვეტის პროცესში.

ერთი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც შეიქმნა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა დაწესებულება — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტი. საქმიანის კორესპონდენტმა ვ. ეორთვალიაშვილმა ეს ბოლოს კომიტეტის თავმჯდომარეს მიხეილ ჩიქოვანს ეპასუხა რამდენიმე შეკითხვაზე.

— რუმორ ჩაინარა პრესტიჟების ორბანიზაციულმა პერიოდმა?

— უწინარეს ყოვლისა უნდა ადვნიშნო, ორგანიზაციულ პერიოდს ხელი არ შეუშლია ჩვენთვის, რომ თავიდანვე გაგვეჩაღებინა მუშაობა. ამ მუშაობის შესახებ ვრცელად შემდეგ მოგახსენებთ. რაც შეეხება ორგანიზაციულ პერიოდს, ძირითადად იგი დამთავრდა. კომიტეტის აპარატი და მისი ორგანოები ადგილებზე დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით. ადგზარეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში შეიქმნა შესაბამისი სამმართველოები, ხოლო სამხრეთ ოსეთისა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და საქალაქო საბჭოების აღმასკომებში შესაბამისი განყოფილებანი. დანიშნულია 70 რაიონული და სარაიონთაშორისო რწმენებული.

კომიტეტის ცენტრალურ აპარატში შეიქმნა განყოფილებები, რომლებსაც ევალებათ ისეთი საკითხები, როგორიცაა დაგეგმვა, მოსახლეობის აღრიცხვა და ინფორმაცია, შრომითი მოწყობა და მუშა ხელით სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფა, ახალგაზრდობის ხელახლა განაწილება, ხელახლა მომზადება და შრომითი მოწყობა, სამოსახლოდ გადაყვანა და სამოსახლო მშენებლობა.

როგორც ვიქადავთ, გათვალისწინებულია ადამიანის შრომითი გამოყენების ყველა საკითხი.

— ნიშნავს თუ არა ეს, რომ კომიტეტი ერთგვარი საკოორდინაციო ცენტრია, რომელიც მსურველებს საქმეს აწყობს?

— სწორედ ასეა. ჩვენთან იყრის თავს სამრეწველო სწარმოების, მშენებლობების. საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების განცხადებანი მუშა-ხელზე, ცნობები, რომ ამა თუ იმ დაწესებულებასა თუ ორგანიზაციაში არის ვაკანსია. კომიტეტის თანამშრომლები დაუყოვნებლივ არკვევენ შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებს, სამუშაო ადგილის სიშორესა და სხვა საკითხებს, რომლებიც აინტერესებს ყოველი ადამიანს, რომელიც სამუშაოზე ეწყობა. შემდეგ ამ ცნობებს მოსახლეობას ვაწვდით ჯერ ერთი ადგილებზე მყოფ რწმენებულთა სამუშაოებით, მეორეც პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით გამოცხადების გზით. განცხადებებს ვაკრავთ ავრეთვე დასახლებულ პუნქტებში. გარდა ამისა, ვგზავნის იმ მოქალაქეთა ინდივიდუალური აღრიცხვის წიგნი, რომლებსაც სურთ სამუშაოზე მოწყობა.

— ხომ არ მოიყვანთ რამდენიმე მაგალითს, თუ რობორ მოიწყვინენ სამუშაოზე ამ გზით?

— სიამოვნებით. ჩვენ ურთიერთობა გვაქვს ამ ადამიანებთან და კარგად გვახსოვს ისინი. კომაკავშირელი აკაკი მეტრეველი კმაყოფილია, რომ მშენებელ ინჟინრად მუშაობს „ბიჭვინთმშენის“ სამმართველოში. ინჟინერი ქიდრატენიკოსი სოსლან ხაჯია ჩაქენი ფაფიდა სამელიორაციო მშენებლობაზე. ამას წინათ კი გულთბილი წერილი მივიღეთ ნინა ჩოდრიშვილისაგან, რომელმაც დაუსწრებლად დაამთავრა თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი და შუასკოლის საშუალო სკოლაში მუშაობს. შუასკოლელებმა დიდი ყურადღება და ზრუნვა გამოიჩინეს მისადმი და ახარებს რომ კარგ ადამიანებს დაუმეგობრდა.

ასე მიიღო სამუშაო 10 ათასამდე კაცმა. აქედან 900 სპეციალისტს უმაღლესი, ხოლო 700-მდე სპეციალისტს საშუალო განათლება აქვს, თითქმის 7 ათასმა სრული საშუალო სკოლა დაამთავრა.

ოცი ათასამდე მუშა შრომობს ობიექტებზე, რომლებსაც აშენებენ მშენებლობის, სოფლის მშენებლობის, კავშირგაბმულობის სამინისტროები, მუშაობს კვების მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოებში, აშენებს ენგურის ჰიდროელექტროსადგურსა და თბილისის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურს, ამაქვს ჭვანსაწარი და მანგანუმი, მუშაობს ნავსადგურის მეგზირთაგად.

— ამოწმებს თუ არა კომიტეტი შრომითი ხელშეკრულების პირობათა შესრულებას?

— ეს ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავია, რომელიც მეიდროდ უკავშირდება ეკონომიკის ისეთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას, როგორიცაა ბრძოლა კადრების დენადობის წინააღმდეგ.

უდავოა, თუ დავაინტერესებთ მუშას კარგი ხელფასით, ბინით, საყოფაცხოვრებო მომსახურებით, შეეკვნით დასვენების პირობებს, ის აღარც კი იფიქრებს სამუშაოს გამოცვლაზე. სამწუხაროდ, საწარმოთა და მშენებლობათა ზოგიერთ ხელმძღვანელს ეს მეორე ხარისხოვანი საქმე ეჯონია, ამავე დროს ისინი უჩიოდნენ ხელმე მუშახელის ნაკლებობას.

კომიტეტის თანამშრომლები მიდიან ადგილებზე და იქ დაწერილებით ეცნობიან მუშათა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებს. ჩვენ შევაფასებთ მთელი რიგი საწარმოები და შევიმუშავეთ ღონისძიებანი, რომლებიც ადმინისტრაციამ უნდა განახორციელოს დენადობის შესაფერებლად. ამ მუშაობის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მაგალითს.

ამ საწარმოს შემოწმებამ გვიჩვენა, რომ მეშინინამ ეს ბოლო ხანებში ქარხანაში 752 კაცი. ეფექტიანად ეს ასალგაზრდა მუშების დენადობა [illegible] — [illegible] ამ ოლქებიდან. [illegible] ქუთაისის ოსტატიანი ადამიანთა ადმინისტრაცია ყოველდღიურ ყურადღებას არ იჩენს ახალგაზრდა მუშებისადმი. კომიტეტმა ანალიზი გაუკეთა მუშების დენადობის მიზეზებს და დირექციას ურჩია მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი. კერძოდ, რეგიმენტალურია განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს საამქროთა ოსტატებისა ზრუნვას ახალგაზრდა მუშების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. აიკრძალოს მოზარდთა შრომის გამოყენება ღამით. გაძლიერდეს კონტროლი მოზარდთა მიღებისა და დათხოვნის გიფორმებისადმი, გაუჯარიანდეს ადმინისტრაციას მუშაობა საერთო საცხოვრებლებში მცხოვრებ მოზარდთა შორის და სხვ. დეკემბრის დამლევს კომიტეტი შეამოწმებს ამ რეკომენდაციათა შესრულებას

დენადობასთან ბრძოლას დიდი ყურადღება ეთმობა. ოქტომბერში ჩვენი წარდგინებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება სამშენებლო ორგანიზაციებში მუშათა დენადობის ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ. რაკი სიტყვა ჩამოვარდა ახალგაზრდა მუშებზე, უნდა შეეგროთ მათი შეფსების წყაროებსაც. საშუალო სკოლებიკურსდამთავრებულნი, რომლებსაც სწავლა არ გაუგრძელებიათ, ჩვენი ყურადღების ობიექტი ხდებიან. კომიტეტი გზავნის მათ სამუშაოზე. წელს გეგმის შესაბამისად სამუშაოთი ეწყვა უზრუნველყოფილ 36.100 ახალგაზრდა. სკოლის დამთავრებიდან ზუთი თვის განმლობაში კომიტეტის საგზურებით უკვე მუშაობს 19 ათასი ქალაქელი და ბიბუკი.

— რა შუნაკიანს ასრულებს კიდევ კომიტეტი?

— მოკლედ ჩამოვთვლი. კომიტეტი სწავლობს საზოგადოებრივ მეურნეობაში დასაქმებული შრომისუნარიანი მოსახლეობის შემადგენლობას, მთიან სოფლებს მცხოვრებლებს ასახლებს ხეობებში და ქმნის ახალმოსახლეთა მეურნეობებს, სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ზრუნავს იმ მუშათა და სპეციალისტთა ხელახალი მომზადებისა და განაწილებისათვის, რომლებიც შრომის მეცნიერულიანობა და ავტომატიზაციის პროცესში განთავისუფლდნენ, შეაქვს თავისი წინადადებანი იმის თაობაზე, მიზანშეწონილია თუ არა საწარმოთა მშენებლობა, ამასთან ითვალისწინებს შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენებას მოცემულ ადგილას...

— მაშასადამე, თქვენ გავლენას ახდენთ რაციონის ეკონომიკაზე?

— რა თქმა უნდა. მაგალითად, ამას წინათ წყდებოდა ფაიფურის ნაწარმის ქარხნის მშენებლობის საკითხი. სად აგებენ ქარხანა საწარმო — საჩხერეში თუ მცხეთაში. მოკავკასიური ეკონომიური დასაბუთებანი, მაგრამ ეს რაიონების შრომითი რესურსების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ქარხნის მშენებლობა უფრო მიზანშეწონილია საჩხერეში. ამიტომაც მიიღეს ჩვენი კომიტეტის რეკომენდაცია ფაიფურის ნაწარმის ქარხნის აგების შესახებ საჩხერეში.

როგორც ხედავთ, კომიტეტის დიპაზონი ფრიად ფართოა. (საქმესა).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ხელმძღვანელის დამსახურებული მუშაკის სატიტო წოდების მინიჭების შესახებ

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის, მიენიჭოთ საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების დამსახურებული მუშაკის სატიტო წოდება:

1. **აბესაძეს** ვასილ ალექსანდრეს-ძეს — თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ბრაკალდარგოვან საწარმოთა გაერთიანების ფეხსაცმლის შემკეთებელს.
2. **აგლაძეს** ეფრემ სიმონის-ძეს — თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ავეჯის ინდივიდუალური დაკვეთის ფაბრიკის მეავეჯეს.
3. **ამყოლაძეს** მარგალიტა მოსეს ასულს — საჩხერის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მკერავს.
4. **აფრიდონიძეს** გიორგი თეოფილეს-ძეს — ქუთაისის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლის ზეინკალ-მექანიკოსს.
5. **ახვლედიანს** ალექსანდრე ლევანის-ძეს — თბილისის ტანსაცმლის ინდივიდუალური კერვის № 1 ფაბრიკის მოდელიორ-კონსულტანტს.
6. **ბაბაიანს** ამაიაკ სედრაკის-ძეს — თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს საპარიკმახერო მეურნეობის № 1 კანტორის პარიკმახერს.
7. **ბაღათურიას** ივანე ტერენტის-ძეს — თბილისის ტანსაცმლის ინდივიდუალური კერვის № 2 ფაბრიკის დირექტორს.
8. **ბეკოევს** ვლადიმერ ანდრიას-ძეს — ქ. ცხინვალის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მეავეჯეს.
9. **ბეჟუაშვილს** ნინო შალვას ასულს — კომბინატ „თბილექსპრესის“ დაკვეთების მიმღებს.
10. **ბურჯანაძეს** ლევან აბრამის-ძეს — თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს საპარიკმახერო მეურნეობის № 1 კანტორის პარიკმახერს.
11. **ბუნტურს** ნათელა გიორგის ასულს — ქ. გორის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მოდების ატელიეს გამომკერავს.
12. **გეგეჭკორს** პარმენ ალექსანდრეს-ძეს — ქ. ზუგდიდის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მკერავს.
13. **გვრიტაშვილს** სიმონ იოსების-ძეს — თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს საპარიკმახერო მეურნეობის № 1 კანტორის პარიკმახერს.
14. **გოგლიძეს** ვალერიან მელქოს-ძეს — ქ. ონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მკერავს.
15. **თოფურიას** რაფიელ თადეოსის-ძეს — ქ. წულუკიძის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ტანსაცმლის ქიმიური ღებვის ხელოსანს.
16. **ისლიძეს** შალვა თევდორეს-ძეს — თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს
17. **კვიტაციანს** ალექსანდრე დიმიტრის-ძეს — ქ. გუდაუთის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს № 2 სამკერვალო სახელოსნოს ბრიგადირს.
18. **კეტიას** ვერა კონსტანტინეს ასულს — ქ. გუდაუთის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს № 1 ტანსაცმლის სამკერვალო სახელოსნოს ოსტატს.
19. **კორძაძეს** ალექსანდრე პავლეს-ძეს — ვანის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის მკერავს.
20. **კუპრეიშვილს** ნანა ფარნას ასულს — ქ. სოხუმის ტანსაცმლის სამკერვალო ატელიეს გამგეს.
21. **ლებანიძეს** მარიამ სერაფიონის ასულს — თბილისის ტანსაცმლის ინდივიდუალური კერვის № 1 ფაბრიკის ატელიეს გამომკერავს.
22. **ლობჟანიძეს** გერონტი ბიჭიას-ძეს — ქ. სოხუმის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს № 3 ბანაოს გამგეს.
23. **ლოლაძეს** იროდი იროდის-ძეს — ქ. ზესტაფონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ფანანების მექანიკოსს.
24. **მატინოვას** ელისაბედ ვასილის ასულს — თბილისის ქალთა საპარიკმახერო სალონის პარიკმახერს.
25. **მასლიაკოვს** ივანე პეტრეს-ძეს — ქ. სოხუმის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს
26. **მეფარიშვილს** ბენია ნოეს-ძეს — ჩოხატაურის რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ფეხსაცმლის შემკეთებელს.
27. **ნაზარბეგოვს** გრიგოლ კონსტანტინეს-ძეს — თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს დამხმარე წარმოებათა კომბინატის ამკრეკ-მონტაჟორს.
28. **ნამორაძეს** სანდრო გიორგის-ძეს — თელავის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ფეხსაცმლის შეკეთების სახელოსნოს ბრიგადირს.
29. **ნეპოჩატს** გრიგოლ თეოფილეს-ძეს — ახალი ათონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის ტანსაცმლის ინდივიდუალური დაკვეთის ატელიეს გამგეს.
30. **ნოდიას** სარდიონ პეტრეს-ძეს — საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის მოადგილეს.
31. **ობოლაძეს** ბენიამინ იასონის-ძეს — ქ. ტყიბულის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს სამკერვალო ატელიეს დირექტორს.
32. **პეტრიაშვილს** სერგო დავითის-ძეს — თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ავეჯის ინდივიდუალური დაკვეთის ფაბრიკის დირექტორს.
33. **რამინაშვილს** პეტრე ილარიონის-ძეს — ფოთის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს საავეჯო წარმოების გამგეს.
34. **ტუღუშელაშვილს** ბენიამინ კონსტანტინეს-ძეს — თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს № 1 კანტორის პარიკმახერს.
35. **ქენოკლიძეს** ელენე აკაკის ასულს — ამბროლაურის რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ტანსაცმლის სამკერვალო საამქროს გამომკერავს.
36. **ქურციკაშვილს** ივანე გიორგის-ძეს — წყალტუბოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ფეხსაცმლის შემკეთებელს.
37. **ღლონტს** შაბი სულეიმანის ასულს — ქ. ბათუმის ტანსაცმლის ინდივიდუალური დაკვეთის ფაბრიკის გამომკერავს.
38. **ყურბანიანს** პოღოს ტიგრანის-ძეს — ახალციხის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ზეინკალს.
39. **ჩუდაკოვს** ფრანც ივანეს-ძეს — თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს დამხმარე საწარმოთა კომბინატის დირექტორს.
40. **ჩხარტიშვილს** გრიგოლ ნოეს-ძეს — ქ. მახარაძის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ტანსაცმლის ინდივიდუალური დაკვეთის № 1 სახელოსნოს გამომკერავს.
41. **ძაგანიას** ვალენტინა მშაგოვის ასულს — ქ. სოხუმის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ინდივიდუალური ტანსაცმლის დაკვეთის ფაბრიკის მკერავს.
42. **ჭაკუასელს** ვასილ თეოფილეს-ძეს — ქ. ხაშურის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ოსტატს.
43. **ჭოლოკავას** ევა სიმონის ასულს — თბილისის ქიმიური წმენდის და თეთრეულის რეცხვის ფაბრიკის ხელოსანს.
44. **ხარაიშვილს** გიორგ

საქართველოს ცხოვრება

რუმინეთის კომუნისტური პარტიის პროვინციული კონფერენცია

ბუქარესტი, 6 დეკემბერი. (საკადესი). დღეს ბუქარესტში გაიხსნა რუმინეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული კონფერენცია, რომლის დღის წესრიგში დგას ორი საკითხი: რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დერეგატიანი სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობისა და დაგეგმვის სრულყოფის შესახებ რუმინეთის სოციალისტური განვითარების ახალი ეტაპის შესაბამისად; რუმინეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანიზაციის გაუმჯობესება და სასოფლო დასახლებული პუნქტების სისტემატიზაცია. ორივე საკითხზე მოხსენება გააკეთა რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ნ. ჩაუშესკუმ.

ძველნაუჩი ქალაქები

დაკარი, 6 დეკემბერი. (საკადესი). სენეგალის დედაქალაქი და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის დედაქალაქი ბაქო ძმადნფიცი ქალაქები გახდნენ, ნათქვამია კომუნიკეში, რომელსაც ხელი მოაწერეს დაკარის მუნიციპალიტეტის საბჭომ და ბაქოს საქალაქო აღმასკომის დელეგაციამ, რომელიც აქ იმყოფება.

ქალაქ ბაქოს დელეგაცია, რომელიც აქ ჩამოვიდა საბჭოთა კავშირისა და სენეგალის კულტურული თანამშრომლობის შეთანხმების შესაბამისად, აწარმოებდა აგრეთვე მოლაპარაკებას დაკარის მუნიციპალიტეტთან, რომლის დროსაც განიხილეს ორი ქვეყნის თანამშრომლობის კონკრეტული საკითხები.

გუშინ სენეგალის დედაქალაქის საქალაქო რატუშაში გაიხსნა ფოტოგამოფენები „საბჭოთა აზერბაიჯანი“ და აზერბაიჯანის ესტამპის ექსპოზიცია, რის შემდეგაც დაკარის მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარემ სამბა გეიმ მოაწყო დიდი დარბაზობა ბაქოელთა დელეგაციის პატივსაცემად.

შეხვედულებათა ერთიანობა

სოფია, 6 დეკემბერი. (საკადესი). ბულგარეთის კომუნისტურმა პარტიამ და დანიის კომუნისტურმა პარტიამ განაცხადეს, რომ მზად არიან ხელი შეუწყონ კომუნისტური პარტიების ახალი საერთაშორისო თათბირის მოსამზადებელი 1965 წლის ბუდაპეშტის საკონსულტაციო შეხვედრის წარმატებას, ნათქვამია კომუნიკეში ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციის ვიზიტის გამო დანიაში. დელეგაციას ხელმძღვანელობს ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი სტანკო ტოდოროვი.

კომუნიკეში, რომელიც ბულგარეთის დელეგაციის ინფორმაციას აღნიშნავს, რომ ორივე პარტიის დელეგაციებმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია თავიანთი საქმიანობის შესახებ. მოლაპარაკებამ გულითადობისა და მეგობრობის სულისკვეთებით ჩაიარა. კვლავ დადასტურდა ბულგარეთის კომპარტიისა და დანიის კომპარტიის შეხედულებათა სრული ერთიანობა საერთაშორისო მდგომარეობისა და მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის პრობლემებზე.

ბულგარეთის დელეგაცია გაეცნო დანიის კომუნისტური პარტიის ფართო საქმიანობას მუშათა კლასის ერთობის განსამტკიცებლად, სოციალური პროგრესის, მშვიდობისა და სოციალიზმის მისაღწევად.

კომუნიკეში გამოთქმულია ორივე პარტიის მტკიცე გადაწყვეტილება კვლავაც განაგრძონ თანამშრომლობა.



საიმენის არხის მშენებლობაზე

ფინეთი. ერთი წლის შემდეგ დაიწყება გემების მიმოსვლა საიმენის არხით. ამჟამად 2.500 მშენებელი მუშაობს 1856 წელს აგებული არხის რეკონსტრუქციაზე. 57 კილომეტრიანი ტრასა გაუვანილია ფინეთისა და სსრ კავშირის ტერიტორიაზე. არხი გადის 4 ტბაზე და გასასვლელს მისცემს ტვირთებს ჩვენი ქვეყნის შიდა ოლქებიდან ბალტიის ზღვაში.

სსრ კავშირსა და ფინეთს შორის შეთანხმებით ფინეთის მხარეზე შენდება სამი რაბი, საბჭოთა ტერიტორიაზე — ხუთი. **ხურათზე:** არხის მზა ნაკვეთი მუსტოლის რაბთან.

ფოტო ვ. პავლოვისა (საკადესის ფოტოქრონიკა).

სოლიდარობა ვიეტნამელ ხალხთან

ვაშინგტონი, 4 დეკემბერი. (საკადესი). ახალი წლის დღესასწაულის მოახლოებასთან დაკავშირებით ფრანკ ქლთა კავშირმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ „მილიონობით ბავშვი დახოცა რკინისა და ცეცხლის წვიმამ, რომელსაც ამერიკის ავიაცია დღითადღე უშენს ვიეტნამის მიწა-წყალს“.

ფრანკ ქლთა კავშირი მოუწოდებს დედებს, რომლებიც საჩუქრებს უმზადებენ თავიანთ ბავშვებს საღილასწაულო ნაძვის ხისათვის, კიბისენონ, რომ ფფრო მეტი მედიკამენტი, სურსათი და ტანსაცმელი უნდა შეგროვდეს მრავალტანჯული ვიეტნამელი ხალხისათვის.

ფრანკ ქლთა კავშირმა გადაწყვიტა ქლთა საერთაშორისო დღის ღღესასწაულის წინა ხანებში „მოწყოს „მშვიდობის ვახტები“, რომლებიც მიეძღვნება ბრძოლას ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ვიეტნამში.

ლ. ჯონსონის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი. შაბათს პრეს-კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯონსონმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები არ შეწყვეტს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვას.

ჯონსონს სთხოვეს განემარტა ეიზენჰაუერის ამასწინანდელი მოწოდება ვიეტნამის ომის საზღვრის გაფართოების თაობაზე. პრეზიდენტმა უარი თქვა ამაზე და თან დასძინა: არ მსურს ვილაპარაკო იმაზე, „თუ რა, საომარი მოქმედება შეიძლება „ბაგვჭირდეს“, პრეზიდენტმა თქვა, რომ ურჩევნია ასეთი მოქმედების ვიგამებზე იმსჯელოს სამხრეთ ვიეტნამში გახლგებული ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების სარდალთან გენერალ უესტმორლენდთან, და არა კორესპონდენტებთან.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ პენტაგონს მიეცემა მთელი ის სახსრები, რომლებიც მოითხოვა.

კორესპონდენტთა კითხვებზე ჯონსონმა უპასუხა, რომ ჯერ არ შეურჩევია თავდაცვის მინისტრის მაკნამარას შემცვლელი.

(საკადესი).

რეპრესიები მშრომელთა წინააღმდეგ

პარიზი, 6 დეკემბერი (საკადესი). გუშინ მადრიდში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ტრიბუნალმა ასტურიელ მუშას ვიქტორ ფერნანდესს სამი თვის პატიმრობა მიუსაჯა „უკანონო დემონსტრაციაში“ მონაწილეობისათვის.

როგორც ფრანს პრესის საგანგებო იუწყება, ფერნანდესი დაიპატიმრეს 29 აპრილს ალალანში ფურცლების გავრცელების გამო, რომლებიც მოუწოდებდნენ მეშახტეებს მონაწილეობა მიეღოთ საპარლამენტო დემონსტრაციაში.

ორი თვის პატიმრობა მიუსაჯეს აგრეთვე სამ ანდალუზიელ მუშას, რომლებიც გამოდიოდნენ მთავრობის სინდიკატის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ. ამჟამად ტრიბუნალი ისალეს 10 ბასკი მუშის საქმეს, რომლებიც 7 თებერვალს დაიპატიმრეს ბასაურში (ბილბაოს აბლოს) გაფიცულ მეტალურგთა მხარდაჭერის გამო.

გენერალი — ნატოს სელმძღვანელი პოსტზე

ბონი, 4 დეკემბერი. (საკადესი). ბონდესკანრის გენერალი ოოროგენ ბენენი დანიშნეს ევროპის ცენტრალურ ზონაში გაერთიანებული ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალად. ეს ოფიციალურად გამოაცხადა ევროპაში განლაგებული ნატოს გაერთიანებული ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა გენერალმა ლემნიცერი. ამრიგად, ნატოს სარდლობაში ერთ-ერთ ხელმძღვანელ პოსტს კვლავ ბონის წარმომადგენელი დაიკავებს. ამ პოსტზე ბენენს წინამორბედი იყო ბუნდესვერის გენერალი ფონ კ�მანბაზეგი.

რეკორდული სიჩქარე

პარიზი. ექსპერიმენტულმა აერომატარებელმა, რომელიც ფრანგმა ინჟინრებმა შექმნეს, გაიმეორა სიჩქარის თავისი მსოფლიო რეკორდი — 345 კილომეტრი საათში.

აერომატარებელი მოძრაობს საჰაერო ბალიშით ბეტონის მონორელსზე რეაქტიული ძრავის საშუალებით. პროექტის მიხედვით აერომატარებელს შეუძლია განავითაროს 400 კილომეტრამდე სიჩქარე საათში.

დეგეგმილმა ხაზმა უნდა დააკავშიროს პარიზი და ორლეანი 1970 წელს. მანძილს ორ ქალაქს შორის — დაახლოებით 120 კილომეტრს — აერომატარებელი 20 წუთში გაივლის. (საკადესი).

გენერალური ასამბლეის სესიაზე

ნიუ-იორკი, 6 დეკემბერი. (საკადესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ თავის პლენარულ სხდომაზე ცნობად მიიღო ატომური ენერგიის საერთაშორისო საგენტოს მოხსენება. ეს მოხსენება ეძღვნება სახელმწიფოთა თანამშრომლობის ღიდმნიშვნელოვან საკითხებს მშვიდობიანი მიზნით ატომური ენერგიის გამოყენების დარგში.

გამოვიდა რა გუშინ გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე, ატომური ენერგიის საერთაშორისო საგენტოს გენერალურმა დირექტორმა სიგვარდ ეკლუნდმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ატომურ ენერგიას შეუძლია გარკვეული სიკეთე მოუტანოს მთელი მსოფლიოს ხალხებს და ამავე დროს ღიდ საფრთხეს უქმნის კაცობრიობის არსებობას, რადგან ჯერ კიდევ არის ატომური იარაღის გავრცელების საშიშროება.

ახლა უაღრესად საჭიროა სასწრაფოდ დაიღოს შეთანხმება ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მსოფლიოს ხალხთა უშიშროება, განაცხადა სიგვარდ ეკლუნდმა.

საბჭოთა წარმომადგენელმა ლ. ი. მენდელევიჩმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირმა შეიტანა და ახლაც შეაქვს ღიდი წვლილი მშვიდობიანი მიზნით ატომური ენერგიის გამოყენების საქმეში, აქტიურად მონაწილეობს მეცნიერული და ტექნიკური ინფორმაციის გაცვლის ყველა ღონისძიებაში.

საბჭოთა კავშირს მიაჩნია, განაცხადა ლ. ი. მენდელევიჩმა, რომ ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისადმი თვალყურის სადევნებლად მიზანშეწონილია გამოიყენონ ატომური ენერგიის საერთაშორისო საგენტოს გარანტიების სისტემა.

ნიუ-იორკი, 6 დეკემბერი. (საკადესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXII სესიამ გუშინ პლენარულ სხდომაზე მოიწონა პირველი (პოლიტიკური) კომიტეტის რეზოლუცია ლათინურ ამერიკაში უატომო ზონების შექმნის შესახებ. ამ რეზოლუციას მხარი დაუჭერა 82 ქვეყანამ, უმთავრესად დასავლეთის და ლათინური ამერიკის ქვეყნებმა, თავი შეიკავა 28 დელეგაციამ. რეზოლუციის წინააღმდეგ ხმა არავის მიუცია.

საბჭოთა კავშირმა, მთელმა რიგმა სოციალისტურმა, აფრიკისა და აზიის ქვეყნებმა კუბისაგან ოდროს თავი შეიკავეს.

კენჭისყრის შემდეგ გამოვიდნენ მთელი რიგი ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ხელშეკრულებას უატომო ზონების შექმნის შესახებ ბევრი ნაკლი აქვს. ხელშეკრულება არ ითვალისწინებს აფრიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზების ლიკვიდაციას კუბაში, პუერტო რიკოში, პანამასა და ლათინური ამერიკის სხვა სახელმწიფოებში. ხელშეკრულებით ფაქტიურად დაშვებულია ატომური იარაღის გადატანა ამ ზონაში შემავალი ქვეყნების ტერიტორიაზე. ხელშეკრულებით ნებადართულია მშვიდობიანი მიზნით ატომური გამოცდის მოწყობა.

ნიუ-იორკი, 6 დეკემბერი. (საკადესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXII სესიამ ერთსულოვნად მოიწონა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის

. ი. მენდელევიჩის ანგარიში, რომელიც გენერალურ მდივანს უფლებას აძლევს ხელი შეუწყოს თანამშრომლობის დამყარებას ორ ორგანიზაციას შორის. ამ გადაწყვეტილების შემდეგ გენერალური მდივანი მონაწილეობდა აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის მინისტრთა საბჭოს მუშაობაში ადის-აბებაში 1967 წლის თებერვალში და შემდეგ მიმდინარე წლის სექტემბერში კინშასაში აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების ასამბლეის მუშაობაში.

გენერალური მდივნის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ტექნიკურ დახმარებას უწევდა აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს აფრიკის ერთობის ორგანიზაციის ფარგლებში ეკონომიკურ, სოციალურ, ფინანსურ, ტექნიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ, ინფორმაციულ, ტურისტულ, ტრანსპორტულ, ფოსტა-ტელეგრაფ-ტელეფონ, ეროვნული ბიბლიოთეკებისა და ეროვნული არქივების, ეროვნული ბანკების, ეროვნული ავიაკომპანიების, ეროვნული ტელევიზიების, ეროვნული ინფორმაციის ბიუროებისა და ეროვნული ტურისტული ორგანიზაციების ორგანიზაციებს.

პლენარული სხდომა

ნიუ-იორკი. აქ გამოქვეყნდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კვიპროსის მუდმივი წარმომადგენლის როსიდესის წერილი გენერალური მდივნის უ თანისადმი 1967 წლის 3 დეკემბრის მიმართვის პასუხად.

წერილში ნათქვამია, რომ კვიპროსის მთავრობა საესებით ეთანხმება იმას, რომ კვიპროსის ტერიტორიიდან საბერძნეთისა და თურქეთის შეიარაღებული ძალების გაყვანა პირველი ნაბიჯია კვიპროსის ტერიტორიიდან მთელი შეიარაღებული ძალების, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების გარდა, მთლიანად გაყვანის გზაზე, რადგან კვიპროსის სრული დემილიტარიზაცია აუცილებელი პირობაა კუნძულზე მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კვიპროსში მშვიდობის შენარჩუნების ძალების შემდგომი ყოფნისა და კონტიგენტის გაფართოების საკითხი უნდა განიხილოს უშიშროების საბჭომ, ამასთან უნდა გათვალისწინოს კვიპროსის სუვერენიტეტის უფლება, ნათქვამია წერილში. (საკადესი).

კვიპროსის მთავრობის პასუხი

ნიუ-იორკი. ამ ბოლო წლის შანძილზე ხორციელდებოდა თანამშრომლობა აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციასა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო ეკონომიურ კომისიას შორის.

აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის წევრი აფრიკის ქვეყნების წარმომადგენლები მოესალმნენ იმას, რომ დაიწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თანამშრომლობა აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციასთან და წინადადება წამოაყენეს კვლავაც განამტკიცონ ეს თანამშრომლობა.

ნიუ-იორკი, 6 დეკემბერი. (საკადესი). გენერალურმა ასამბლეამ გუშინდელ პლენარულ სხდომაზე მოიწონა მოხსენება კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების დეკლარაციის განმახორციელებელი სპეციალური კომიტეტის საქმიანობის შესახებ.

მოხსენება შეიცავს სპეციალური კომიტეტის რეზოლუციას, რომელიც დაგმობილია ის, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხელისუფლება უკანონოდ დაიპატიმრეს სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის 37 აფრიკელი მოქალაქე, რაც არღვევს ამ ტერიტორიის საერთაშორისო სტატუსს. რეზოლუცია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხელისუფლებს მოუწოდებს შეწყვიტონ უკანონო აქტები სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის ტერიტორიაზე და მოითხოვს დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ დაპატიმრეულნი.



გენერალურმა ასამბლეამ მოიწონა აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის საკითხთა საბჭოს საქმიანობა.

ბოლელი გენერალი — ნატოს სელმძღვანელი პოსტზე

ბონი, 4 დეკემბერი. (საკადესი). ბონდესკანრის გენერალი ოოროგენ ბენენი დანიშნეს ევროპის ცენტრალურ ზონაში გაერთიანებული ნატოს გაერთიანებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალად. ეს ოფიციალურად გამოაცხადა ევროპაში განლაგებული ნატოს გაერთიანებული ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა გენერალმა ლემნიცერი. ამრიგად, ნატოს სარდლობაში ერთ-ერთ ხელმძღვანელ პოსტს კვლავ ბონის წარმომადგენელი დაიკავებს. ამ პოსტზე ბენენს წინამორბედი იყო ბუნდესვერის გენერალი ფონ კილმანზეგი.

ჰიესა ბნელისა და ნათელის ბრძოლაზე

ლრამის ყოველი ნაკვთიდან შეუუნებუნელი, შემფოთებული ადამიანის თვალი იყურება. ვინდა იკითხო: რა ეშველება ადამიანს? რა გამოლევს მის სატანჯველს? მრავალთაგა ურჩხულს ხომ არა ჰკვეს კაცის სატანჯველი, ერთს რომ მოჰკვეთენ და ცხრას რომ ამოიყრის? ურისათვის, ჯუფლისათვის თავდადებული მოძღვარი ამბროსი თურქთა შიერ აღებულ ქუთაისში შეიპყრეს. ფაშამ მას წამებით სიკვდილი მიუსაჯა. მაგრამ თურქეთის მფლისწულმა — სულთანის ვაჟმა ქართველი ჭალისაგან—ამბროსი გაათავისუფლა ციხეში. ხალხში მაინც დარჩა ხმა, მოძღვარი ამბროსი ურჯულოებმა წამებით მოჰკლესო. ამიტომ ხალხი მას წმინდანად აღიარებს, ერის რწმენისა და სინდისის სიმბოლოდ სახავს. სოფლებში, ბაზრებზე, მინდვრებზე, ფოლორაცებზე, საყდრებში ხალხი თავს იყრის, ზარებს რეკენ, ადიდებენ წამებულ მოძღვარს, მისი სახელის ხსენებაზე იჩოქებენ და მსურველე ლოცვას აღავლენენ.

ყოველივე ამას ხედავს თვითონ ცოცხლად დარჩენილი მოძღვარი ამბროსი და იტანჯება, ეუბნად ითანჯება ამით გამო, რომ არ ჩამოსახრჩეს, რომ არ აწამეს. სოფლებს, ზარაგზებს გვერდს უვლის, უაზოუკვლოდ მოიპარება, მიიპარება, „როგორც თვითონ ამბობს, თავისი „ნაკურთალი წმინდანობით“. მისი სინდისი შფოთავს: „რა ჯოჯოხეთი შეედრება, — ამბობს იგი, — როდესაც დაუმახურებლად გაკეტენ, უღვაწლოდ გადიდებენ, უღირსად თაყვანს გცემენ“. მას ვერ ამშვიდებს სათნო ოანამგრძნობელის სიტყვებიც, — ეს აღშფოთება შენ გამაღლებს, სულმდაბალთათვის კი შეუფერებელი დიდება ნანატრი მონაპოვარიაო.

მოძღვრის წუხანლის ზნეობრივი საფუძველი, რასაკვირველია, ქრისტიანულ-რელიგიური წარმომობისა გახლავთ, მაგრამ არის ამ წუხილში წმინდა ადამიანურიც, რაც მას უჭკნობს სიმშვენიერეს ანიჭებს. სწორედ აქ მოკლდება მანძილი ზნეობრივსა და ესთეტიკურს შორის.

დამსახურებული დიდება ჯილდოა კეთილი ღვაწლისათვის, დაუმსახურებელი დიდება კი ბოროტების იარაღია, სხვათა ჩაგვრისა და სხეებზე გაბატონების საშუალებაა. მოძღვარი ამბროსი ეჯმობს ბოროტების ამ იარაღს, მაგრამ თვით მისი ქრისტიანული ზნეობაც როდია მოკლებული ღრმა შინაგან წინააღმდეგობას. მთლად უცოდველი ხომ არც თვითონ მოძღვარია. იმისათვის, რომ თავისი მებატონე. წადიერი ვნებით შეპყრობილი თავადი გიორგი ეხსნა რაღაც კიდევ უფრო დიდი ცოდვისა და ბოროტების ჩადენისაგან, განა მან არ მიმართა ბილწი წინადადებით სპეტაკ ოჯახს: საყვარელ ცოლზე ხელის აღების სანაცვლოდ ქმარს დიდაზნაურობა შესთავაზა, ხოლო ქმარზე უღრმესად შეყვარებულ ცოლს — თავადის ცოლობა ურჩია. ამრიგად, უკეთესმარმა სინამდვილემ კისერი მოუგრიხა კანყენებულ რელიგიურ მორალს, ქრისტიანული სათნოება სოციალური ძალმომრეობის სამსახურში ჩადგა. თავისი შინაგანი ბუნებით ცოდვა მაინც ცოდვაა, ბოროტება მაინც ბოროტებაა, რაგინდ დიდი საგვეთისთვისაც არ უნდა იყოს იგი ჩადენილი. მოძღვარი, რომლის ადამიანურ სიხეტკაკეს ბზარავს, აწვალებს ეს ერთი ლაქა, ცოცხალი, ფსიქოლოგიურად მართალი სანდა. აქ არ არის არავითარი გროტესკი, არავითარი პაროდია.

გროტესკი ტირანიას ესადაგება. ამას თავისი ღრმა აზრი აქვს. როგორც ჩანს, ადამიანური სისუელეც თითქმის ისეთივ შორს მიდის, როგორც ადამიანური სიბრძნე. ტირანიის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას თუ ერთ-ერთ აუცილებელ საზრდოს. ალბათ, ადამიანური სისუელეც შეადგენს.

ისევ თურქთა მიერ დაპყრობილი ქუთაისი. დაპყრობილ ხალხში ბოგინობს იმის შეგნება, რომ მბერი მას არა მარტო ფიზიკურად ტანჯავს და მუსრავს, არამედ სულიერადაც. ათასსიხრეს, აჩლუნგებს. დამპყრობელს, ტირანს ხელს აძლევს დაპყრობილთა დაჩლუნგება, ვასულელება. მან არ იცის, რომ ეს სიჩლუნგე დადამდება და ზალე, ალბათ, თვითონაც დაავადდება ამ სენით.

მოიხმის საყიართა ხმა. შემოდის ბაჭარ ფაშა თავისი ამალით, ხალხი ქედს იხრის მის წინაშე. საქმეში ერევა მედროვეთა ცინიზმი, რასაც მურზაყე, ჩაჩიკე და სუხანა ასახიერებენ. „როგორც იქნა, ქუთათურნო, წელში მოხრა გასწავლეთო. ახლა საკადრისი სიტყვით მიმართეთ ფაშას“—მოუწოდებს ხალხს მურზაყე. ხდება ადამიანური სისუელისაც და მონური მორჩილების შეუღლება: „რასაც ჩუმად ჩაგვძახეს, ხმამაღლა ამოვძახეთ“ — შესთხოეენ მურზაყეს. ფაშა მიმართავს ქედმოხრილთ: „მართალია, ამ მოდგაზე ბევრი თქვენთაგანის ოჯახის წევრს სიეოცხლე მოვუსწრაფე, მაგრამ ეს ჩავიდინე თქვენი ჭკეის სასწავლებლად“. მურზაყე და ჩაჩიკე ჩუმად ჩაჩურჩულებენ საპასუხო სიტყვებს ხალხს. „ღირსნი იყვნენ, ფაშავ!“ — გაისმის ხმები. ფაშა გაბავრძობს: „პირველ ჟამს, სანამ შეიჯერეთ, ცოტა ვინმეს ვესროდით, მაგრამ უმაყოფილო იყავით, ბოლოს კი, როდესაც განეკითხავად ჯიუტ-ჯიუტად გაგწყვიტეთ, დაიჯერეთ, რომ მე ჭანჩილი ვარ გმირად, სიკეთის წყაროდ, სიბრძნედ“. მედროვენი—სუსანა და ჩაჩიკე — ხალხს კვლავ ჩუმად უკარნახებენ, და გაისმის ხმები ფაშის მისამართით: „შენ ხარ კეთილი მამა! მზეზე უფრო მადლიანი!“ ერთხანს ასე გრძელდება მორჩილებისა და სისუელეის ძლიერამოსილი სვლა — ჩაძახება და ამოძახება: „მეხი ჩემს ხელშია!“ „შენ ისე გაგგავიდნიერან, ჩვენს ქეეყანას საამოხეს დაარქმევენ“, „მარე ეს ხომ გაფრთოვანებენ!“ „ოჯიშოები ვართ, თორემ ფრთები ვამოგეკესმობოდა“. ბოლოს, მობეზრდათ ჩაძახებ-ამოძახება და მხოლოდ ამოძახებაზე გადადიან: „არ გვგონდა ეს თქვენი კარნახი, დაგჭკვიანდით და უთქვენოდაც კარგად ვიტყვით“.. და ამბობენ სიბრძნით, სიყალბით, სიმწრითა და სისუელეით გატენილ სიტყვებს.

გროტესკი, აღსავსე მწარე სარკაზმით, აქ თითქოს თვით მოვლენის შინა ბუნებიდან არის აღებული.

მოძღვარიც. ფაშაც მხოლოდ ეპიზოდური პირებია. ისინი მხოლოდ სხვათა შორის, მცირეოდნდ თუ შვილიან დრამის მთავარი კონფლიქტიდან გახსნას. და თუ მაინც საუბარი ამ პერსონაჟებით დავიწყეთ—ეს იმიტომ, რომ დრამატურგიული პალიტრის ნაირფერობა, მიგვეანშნებინა მცირე ჭაბნიკით. მართლაც, დრამის ყოველი მონაწილე, ისის და მხედვეთ, თუ რასაირ ადამიანურ ენებებსა და ცხოვრების რაგვარ მოვლენებს წარმოადგენს, თავისი მკვეთრად განსხვავებული საშუალებებითა და საღებავებით არის შესრულებული. თვალწინ გვიდგებიან: ღრმა შინაგანი წინააღმდეგობებით განანაგებული ტრაგიკული პიროვნებაც, მტერმოძალებული ქვეყნის დიდ ერგნულ და სოციალურ უფუნქციობებს რომ წარმოუშვიათ, მწვავე დრამატული ბედის ქართველი ჭალის სიმბოლიური სახეც. ქვეყნის ღრმა სოციალურ და ეროვნულ ტკივილებს რომ ირეკლავს, რომანტიკულ-დრამატული გმირებიც, უფაქიზესი სიყვარულის, რაინდული ზნეობის და პატრიოტიზმის იდეალებს რომ განასაზიერებენ, ბორკტი ბუნების ადამიანიც, ვერაგობისა და ცბიერების ხლარბებს რომ ქსელავს, უშუალო ხალხური ხასიათებიც, ხალხის ფიქრებსა და გრძნობებს რომ გამოსატავენ, გროტესკული სახეებიც, ნიღბებიც...

დრამას მე-16 საუკუნის დასავლეთ საქართველოში გადაეყვანართ. პიესის პერსონაჟების სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის ყოველ დიდ ჭირზე უფრო დიდი ჭირით შეპყრობილი — მტერმორეული ქვეყანა, დრო კი ისეთი, როდესაც ქვეყნის მბედველი თვალი სულის მტანჯველად არის ქცეული. ეპოქის ადამიანურ მინაარსში გვაცდიდს ნამდვილად მომხდარი ამბების ან იმ ამბების გაარჩევი წარმოსახვა, რომლებიც შეიძლებოდა მომხდარიყო იმ დროს. მოქმედი პირნი ზოგჯერ თითქოს გამზრახ არიან ჩაფენებული ამა თუ იმ გამოგონილ ვითარებაში, რათა ესა თუ ის პრობლემა, ესა თუ ის აზრი გაეცხადებინ: ზოგჯერ კი, პირიქით, ტიპიურნა და ბუნებრივ ვითარებაში მოქმედებენ, რათა ტიპიურ ფსიქოლოგიურ ერთეულებად გამქეანდნენ.

აზრობრივი და ფსიქოლოგიური ელემენტების ეს შერწყმა დრამის მთავარულ ნაკვეთობას ნიშანდობლივ თავისებურებას ანიჭებს. ფრიად საგულისხმო და თავისებურია, ჩვენი აზრით, დრამის ძირითადი კონცეფციაც — ქვეყნის სულიერ-კულტურული ორიენტაციისა და ისტორიული ეროვნული გმირის კონიფიციაც, რაც უკვე მთავარ დრამატულ კვანძში ისახება. ეს დრამატული კვანძია მშვენიერი ქართველი ქალის, ქართველი დედის — მარინეს ბედი. იგი ისე, როგორც ცოცხალ ორგანიზმს მოგლეჯენ ხოლმე ნაწილს, მოგლეჯეს თავის საყვარელ ქმარსშვილს, მოგლეჯეს თავის საყვარელ სამშობლოს და დატყვევებული, გეშს ხელფეხშეკრული, აკვლებული გაუგზავნეს საჩუქრად სულთანს. მაგრამ მას შემდეგაც კი, როდესაც თავისი ბორნე ჯიგის, უკეე არაქართველის, არამედ სულთანის მემკვიდრის დედა ხდება, იგი მტკიცე ქართველ დედად რჩება. მისთვის უცხოა „ლატის“ ჯვირის — ზვინაბის სულიერი კომპლექსი. მთელი მისი ტანჯული ცხოვრება არის მტკიცედ უმაღლესი ზნეობრივი კანონისა, რომ სულიერი მომეარეა, თავლთმაქცობა, რა კეთილშობილი მიზნის საბურველსაც არ უნდა წარმოადგენდეს იგი, რეალური, აუუბეებს ადამიანის სულს.

ამიტომ იგი თავის მეორე, ნაძალადევ შვილს არც კი ნახულობს, რომ არაღირი შესცოდოს თავისი პირველქმნილი ბუნების, თავისი პირველი სიყვარულისა და თავისი პირველი რწმენის წინაშე, რომ შეურყეველად შეინახოს სული ქართველი დედისა. პირველ შესაძენებლობისთანავე იგი მიდის თავისი პირველი შვილის საძებრად, უდავოდ რომ მოსწყვიტეს გულიდან და აწიოლეს, გაწამეს, ეფიქრებინ რომ დაკარგულია ეს ზღვის პირას. მარინეს ჩვენ მხოლოდ მის უკანასკნელ წუთებში ვხედავთ ღრამის დასაწყისშივე. მაგრამ მისი ბწარე ბედი თითქოს ჯაგვარ რეალიკად იშლება მთელ ნაწარმოებში და უკავშირდება სხვათა ბედს, სხვათა ცოდვებსა თუ უცოდველობას, სისტემატიკეს თუ სიმუხთლეს. უშინაგეს ყოველისა, ამ წამებული ქართველი დედის ბედთან დაკავშირებულია თავადი გიორგი — ქეეყნის ერთგული სარდალი, უაღრესად მოსიყვარულე მამა, მაგრამ დიდად ცოდვილი ადამიანი, იმდენად ცოდვილი, რომ საკუთარ გულში ჩახედვაც კი ეშარება.

უეჭველად დიდი ფსიქოლოგიური სიღრმით და სიმართლით არის ჭამოკვეთილი დრამაში ამ ტრაგიკული პიროვნების სახე. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ეს სახე ჭამოსახავს ყველაზე ღრმად გარეშე ძალით შეჭირვებული ქეეყნის მთელ მედეგეოდმართობას, მის შინაგან წინააღმდეგობებს, მის დიდ ტკივილებს. მისი ზნეობრივი არსებობა რეეგიას. ულმობელი ტრაგიკული ძალისაა გიორგის თვითმხილება, მისი მწარე აღსარება ჩადენილი ცოდვების გამო თავისი სათნო ასულის წინაშე. თავს დატეხილ უბედურებათა შედეგად იგი რწმუნდება, რომ ქეეყნად დაუჯელი არ რჩება არც ერთი ბოროტება, არც ერთი ცოდვა, რომ „ჩვენს სულში ყოველ დანაშაულთან ერთად იბადება სასჯელიც“.

აქ ჩვენს წინაშე შეუბრალებელი მხილეგა, ცოდვის კითხვა, ის განსაწმენდელია, ის კთარზისი, რომელიც ოდითგანვე ტრაგედიის მიზანი და შინაარსი იყო. ჭაბუკი შეფე ოიანბობს სათაყვანო დიდ სიწმინდეთა დაბრუნებაზე, რათა „ისევ ჭეშმარიტების მოყვარე ხალხი აღიზარდოს“. „ჩვენ, სამშობლოს ერთგულებს, ვეწამს გამარჯვება, რადგან თვითონ სიყვარული არის იმედი“, ბაგრატის ამ სიტყვებით მთავრდება ეს პიესა და აქ არის მისი დედაზრიც. ამის ეოყალი სახეა ქეთევანისა და კირიონის უმწიანეული სიყვარული. ეს რომანტიკული სახეებია, და, იმავე დროს, აქ არის ის პირველქმნილი მშვენიერება და სათნოება, რომლისათვის ჭირიან საუკუნეს, წყლულს, ათას ვაი-ვაგლახს და მთელ ჯოჯოხეთს თავისი ჩირქი ვერ მოეცალა, მაგრამ მათ ვერ გაუძლიათ, ვინაიდან „ბა ადამიანებს, როგორც ქეთევან, ბებერ, „პატარა ყვავილსაც, რომ მისცეს ტრამა, ადნიერება, ამისათვის მთელი ქეეყანა უნდა გადაეკეთოს“.

ქეთევანი აქ პიესის მთავარი გმირია და, ამასთან, მისი ბედი განსაზღვრავს ქართლის

ჩვენს ყარე-ჯყარეში

გვაცნობებენ „კომუნისტისა“ და საქალაქო კორესპონდენტები

ШИО АРАГВИСПИРЕЛИС ИУБИЛЕСАТВИС



ბამოჩენილი ქართველი მწერლის შიო არაგვისპირელის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნის ს. ჭილაიას თავმჯდომარეობით შექმნა საიუბილეო კომისია.

გაიმართა კომისიის პირველი სხდომა. მიღებულია გადაწყვეტილება, რომ საიუბილეო საღამო გაიმართოს 16 დეკემბერს რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში. საიუბილეო საღამო გაიმართება აგრეთვე მწერლის სამშობლოში — დუშეთში.

ლიტერატურულ მუზეუმში, კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკასა და სახელმწიფო უნივერსიტეტში მოეწყობა გამოფენები, რომლებიც ასახავენ შიო არაგვისპირელის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

შომავალ წელს გამოვა რომანი „გაბზარული გული“ და მწერლის რჩეული ნოველების კრებული. იუბილეს დღეებში საქართველოს რადიო და ტელევიზია მწერალს მიუძღვნიან სპეციალურ გადაცემებს. (საქდვი).

САМИ ТАОБИС ШЕМОМАРТА ШЕХВЕДРА

ბმიერკამპანიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ რედაქციის მრგვალ მაგიდასთან მოეწყო სამი თაობის მეომართა შეხვედრა. იგი მიეძღვნა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მომავალ 50 წლისთავს, რომელსაც საბჭოთა ბალტი და მისი მშვიდი მეომრები აღნიშნავენ 1968 წლის 23 თებერვალს.

ჯარის ნაწილის კლუბში შეკრიბნენ ჯარისაცები, სერჟანტები და ოფიცრები, რომლებმაც დიდი უურადღებით მოისმინეს გრამფირფიტაზე ჩაწერილი ვ. ი. ლენინის სტატეა „მიმართვა წითელი არმიისადმი“.

შეხვედრა გახსნა მეთაურის მოადგილემ პოლიტიკურ ნაწილში. მეომრების წინაშე გამოვიდნენ რევოლუციური მოძრაობისა და საბჭოთა არმიის ვეტერანები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი 1917 წლიდან, ოქტომბრის 50 წლისთავის წინ ლენინის ორდენით დაჯილდოებული დ. ლომაძე, სამოქალაქო ომის მონაწილე, წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებული ჯადამგარი ბოლკოვნიკი ვ. გოლუტვინი, XI წითელი არმიის ყოფილი მზვერავი შედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ დაჯილდოებული, პერსონალური პენსიონერი ა. ბეგაშვილი, დნეპრის გადალახვის მონაწილე, საბჭოთა კავშირის გმირი მ. მანაკინი, დიდი სამამულო ომის ვეტერანები საბჭოთა არმიის მოსამსახურე ნ. კოპილოვი, თადირგის პოლკოვნიკი ბ. მორდუხოვიჩი, ოფიცერი პ. კოპილოვი და სხვები. მათ მოიწვიოდნენ მეომრებს გულმოდგინედ ისწავლონ სამხედრო საქმე, სრულყოფილად დაეუფლონ შესანიშნავ თანამედროვე საბრძოლო ტექნიკას.

შეხვედრაზე გამოვიდნენ აგრეთვე კაპიტანი ვ. ლეონაკოვი, კომკავშირელი ა. პოლსკი. მათ ალუფრეს სტუმრებს, რომ ნამდვილ დაიცავენ სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის გმირთა სახელოვან საბრძოლო და შრომითს ტრადიციებს, ფხიზლად იდგებიან საბჭოთა ადამიანების — კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მშვიდობიანი შრომის სადარაჯოზე. დაიცავენ ჩვენი საყვარელი საბჭოთა სამშობლოს სამხრეთ საზღვრებს.

КИНОМОЧЗВАРЕТАТАТВИС

ФОТОКАНОРАМА

უნგრეთის ქალაქ პუსტოტამაროშში ერთად იქორწინა ორმა წყვილმა ტუუმმა — ძმებმა იოკეფ და ფერენც ბუზაშმა შეერთეს დები ეკა და ირენ საბო.

გაზეთ „ბილდ ცაიტუნგის“ ცნობით, შომაანზე, რომელსაც ჩიტა ჰქვია, საკმაოდ კარგად ასრულებს ბელგიაში პოპულარულ სიმღერას „ჩემი მიიმუნური სევდა“.

ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲘᲚᲘᲐ 4.000 ᲝᲥᲠᲝᲡ ᲖᲝᲓᲘ

დელი. მახარაშტრას შტატში ბომბეის პოლიციამ ბომბეიდან 75 კილომეტრის დაშორებით კონტრაბანდისტთა ბანდა დაიკავა. კონტრაბანდისტების სატვირთო მანქანაში აღმოჩნდა 4.000 ოქროს ზოდი ერთ მილიონ დოლარზე მეტი ღირებულებისა.

ᲙᲐᲢᲐ—ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲘ

120 კილომეტრი გაიარა კატამ ფებით. იგი დაბრუნდა თავის პირველდელ პატრონთან, რომელიც ცხოვრობს საფრანგეთში ქალაქ სენტ-ეტიენის მახლობლად. ბატონმა კატა თავის მეგობარს ექვსი თვის წინათ აჩუქა.



ჯავაის კუნძულების ქალაქ ოახუს „საზღვაო პარკის“ ღირსშესანიშნაობათა რიცხვში საპატიო ადგილი უჭირავთ დელფინებს, რომლებიც 6 მეტრამდე სიმაღლეზე ხტებიან.

ᲧᲐᲜᲙᲐᲠᲘ — ᲒᲘᲒᲐᲜᲢᲘ

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმელები სანაპიროდან ინტერესით ათვალიერებდნენ ნავთობსასხმელ უბანზე მდგომ გოლიათ ტანკერს „ოქტომბრის 50 წელი“. იგი სამამულო ტექნიკის პირმშოა. ტანკერი ისე ბრწყინავს, თითქოს სდებავი ჯერ კარგად არც შეშრობიათ. ვეგბა ტანკერმა ღუზა პირველად ჩაუშვა ბათუმში. ხომალდის სიგრძეა 234 მეტრი წყალწყვა — 63 ათასი ტონა. ელეკტრონული უახლესი ელექტრონადოსანავიგაციო ხელსაწყოებით.

ბათუმური ნავთობპროდუქტით ხომალდის დატვირთვას რამდენიმე დღე დასჭირდა. მან კურსი აიღო იაპონიის კუნძულებისაკენ.

სურათზე: ტანკერი „ოქტომბრის 50 წელი“.

ᲗᲔᲗᲠ-ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲪᲘᲡᲐᲠᲢᲧᲔᲚᲐ

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲖᲔ

მალიორკის საერთაშორისო საპადრაკო ტურნირზე გთამაშდა 7 ტური. ლიდერი ლარსენი, რომელსაც 5,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს. გლიგორიჩს 5 ქულა აქვს, ივანოვს — 4,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, ბოტვინიკს, სმისლოვსა და პორტიშს — ოთხახეკარ-ოთხნახევარი ქულა.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲦᲚᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗ

თბილისის „დინამო“ განაგრძობს ტურნირს ირანში. მორიგი საერთაშორისო შეხვედრა დინამოელებს ჰქონდათ თეირანში საკლუბო გუნდ „ჰასთან“ და „მატჩი ფრედ — 2:2 დაამთავრეს. 8 დეკემბერს თბილისელები შეხვდებიან ირანის ნაკრებს.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „პატაკორმა“ ბეირუთში დაამარცხა ლიბანში მცხოვრებ სომეხთა კლუბების ნაკრები 7:1.

ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი ტოკიოში იმყოფება და მონაწილეობს საერთაშორისო ტურნირში. არმიელმა ფეხბურთელებმა ორრიგი შეხვედრა გამართეს იაპონიის ნაკრებთან და გაიმარჯვეს 3:1.

ᲑᲣᲓᲐᲠᲨᲢᲨᲘ „რაპიდმა“ მოუგო მოსკოვის „ლოკომოტივს“ 4:1.

„ᲖᲐᲠᲘᲐ ᲕᲝᲡᲢᲝᲩᲙᲐᲡ“ ᲕᲠᲘᲖᲖᲔ

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო ხელბურთელ ქალთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე.

პირველ დღეს მსოფლიოს ჩემპიონი — ჩეხოსლოვაკიის ნაკრები დამარცხდა იუგოსლავიის გუნდთან შეხვედრაში 12:25. ჩვენმა სტუდენტთა ნაკრებმა მოუგო პოლონეთის გუნდს 19:17. პრიზის პირველმა მფლობელმა უნგრეთის გუნდმა დაამარცხა საქართველოს ნაკრები 27:25.

კ. კომაახიძე.

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲤᲘᲜᲘᲨᲘ

გუშინ დამთავრდა დიდი საერთაშორისო ტურნირი შაიბიან ჰოკეიში. მოსკოვში საბჭოთა კავშირის პირველმა ნაკრებმა დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის გუნდი, 10-დან 8 ქულა შეაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა.

XXIX ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲡᲐᲒᲚᲝᲛᲞᲘ ᲡᲮᲠᲘᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ

„Ა“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კ.)	36	21	12	3	51-11	54
„დინამო“ (მ.)	36	18	13	5	55-28	49
„დინამო“ (თბ.)	36	16	13	7	53-33	45
„დინამო“ (მნ.)	36	13	17	6	47-31	43
„ნეფტჩანიკი“	36	16	10	10	51-33	42
„შაბტიორი“	36	13	16	7	43-38	42
„სპარტაკი“	36	13	14	9	38-30	40
„არარატი“	36	13	10	13	40-38	36
ცსკა	36	12	12	12	35-35	36
სკა	36	13	8	15	39-42	34
„კრ. სოვეტოვი“	36	8	18	10	28-28	34
„ტორპედო“ (მ.)	36	12	9	15	38-47	33
„ტორპედო“ (ქ.)	36	8	15	13	37-50	31
„კაირატი“	36	10	11	15	27-47	31
„პახტაკორი“	36	5	19	12	31-42	29
„ზარია“	36	8	13	15	27-42	29
„ლოკომოტივი“	36	7	14	15	33-37	28
„ჩერნომორეცი“	36	8	11	17	25-46	27
„ზენიტი“	36	6	9	21	28-63	21

ᲗᲔᲗᲠ-ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲪᲘᲡᲐᲠᲢᲧᲔᲚᲐ

მიმდინარე შემოდგომაზე ჩვენი ფეხბურთის თავზე „დინამოს“ თეთრ-ცისფერი ალამი აფრიალდა. „ა“ კლასის მეორე ჯგუფის ტურნირშიც ხომ კიროვაბადის დინამოელებმა გაიმარჯვეს, ხოლო რუსეთის ჩემპიონები შაბაჩაულის დინამოელები გახდნენ. ნუ შეუფდგებით დინამოელთა ამ შეტევა ახსნა-განმარტების ძიებას. დავჯერდეთ შენიშვნას, რომ დღემდე ჯერ არ ყოფილა ერთი სპორტული საზოგადოების ფეხბურთელთა გუნდების ასეთი სრული ზეიმი.

თუმცაღა, ზეიმისათვის საბაბი თუ არის, ამავე დროს გასაკვირველი არაფერია. ჩემპიონატის სამივე პრიზორი დიდი ხნის მტკიცე, რეპუტაციის მქონე გუნდებია, რომელთათვისაც ცნობილია გზა საპატიო კვარცხლბეკისაკენ. მაგრამ ყოველ შემთხვევაში გამარჯვებულთა ალმების ერთფეროვნება ლამაზი სანახავია. მე ვიტყოდი, რომ ახლანდელი სეზონის ამ თავისებურებისათვის უფრო სწორი იქნებოდა პეიზაჟი გვეწოდებინა. მაგრამ ჩვენ, რა თქმა უნდა, გარეგანი ნიშნები კი არ გვაინტერესებს, არამედ ის მოვლენები, რომლებიც ზედაპირზე როდი დევს. ერთი სიტყვით, შეეცადოთ გამოვიკვლიოთ გამარჯვების თეთრ-ცისფერი ცისარტყელა.

1967 წლის ჩემპიონატი შარშანდელზე გაცილებით უფრო სანტერესო იყო. მაშინ, როგორც გახსოვთ, კიეველი დინამოელები ოოლად და დამაჯერებლად ზეიმობდნენ ორივე ფრონტზე და ორი მთავარი პრიზი მოიგეს. ამჯერად თასი ხელიდან წაუვიდათ, მაგრამ ოქროს მედლების მეორე კომპლექტი რომ მოეპოვებინათ, ამისათვის საკმაოდ იშრომეს და კიდევაც იღლეკეს თვით ნოემბრამდე. ერთი წლის წინათ კი უკვე აგვისტოში სრულიად არ ((ეეე